MES 1 22 0001684094

30/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.12.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
3. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
4. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

5. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
7. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
10. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. ნათია ზედგინიძე – ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
15. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1.	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
3	ნანა მიქავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი

1	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	სოსო გოგილიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	I
3	ქეთევან გეგიაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I
4	თეონა შუშტაკაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ავტორიზაციის განყოფილების უფროსი	I
5	ლუკა ბერაია	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი	I
6	თინათინ ღუდუშაური	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	I
7	ნანა შავთვალაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	ნანა ფრუიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I
9	დავით რაზმაძე	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	აკადემიის რექტორის მოადგილე პოლკოვნიკი	II
10	მარიამ ღამბაშიძე	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
11	თამარ რემიშვილი	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი	II
12	სოფიო ფაჩულია	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული	აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი	II

		თავდაცვის აკადემია		
13	თეიმურაზ ნიკოლაიშვილი	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი ვიცე-პოლკოვნიკი	II
14	ზურაბ ზერეკიძე	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ბაკალავრიატის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი	II
15	ლელა ხუბულური	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი/ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილების უფროსი	II
16	მარინე ცერცვაძე	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მოწვეული პერსონალი	II
17	ნელი ჭამპურიძე	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მოწვეული პერსონალი	II
18	ნანა მდინარაძე	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ბაკალავრიატის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი	II
19	ჯიმი კეკელაშვილი	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული		II

		თავდაცვის აკადემია	აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილების უფროსი ს/პ	
20	ლია გელოვანი	სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	აკადემიის შტაბის იურიდიული სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	II
21	ნათია ქაჯაია	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
22	ირინე არჯევანიძე	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
23	ქეთევან გოჩიტაშვილი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	III
24	ნიკა დუდაშვილი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე	III
25	თეა ცაავა	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი	III
26	ნანა ბიჩენოვი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	III
27	ომარ კიკვიძე	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	IV
28	პაატა გერაძე	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
29	ჯუმბერ ჩოგოვაძე		„სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო	IV

		სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II, III
2	ხვთისო მამისიმედიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II, III
3	სოფიო ბაზაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	შალვა მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის “ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის “ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

1. პირველი საკითხი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია Georgian Philology (MA)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31-08- 2017 აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #14; გადაწყვეტ. 62
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ფილოლოგიაში Master of Arts in Georgian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა Literature and Linguistics
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძემ და ირინა გველესიანმა.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტთა პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2017 წელს, ხოლო 2019 წელს პროგრამაზე განხორციელდა მონიტორინგი. მიმდინარე აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამა შემოწმდა სრულად. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა „ქართული ფილოლოგიის“ 2021 წელს შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით გათვალისწინებული დათქმები და იმსჯელა მასთან პროგრამის შესაბამისობაზე. ექსპერტთა მიერ განისაზღვრა კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც წარედგინა უნივერსიტეტს. ასევე, აღნიშნა რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რჩევებისა და რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა. ექსპერტების მუშაობის შედეგად ბევრი საკითხი დაზუსტდა, ამიტომ უნივერსიტეტისთვის ეს რეკომენდაციები იყო მისაღები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს მიმართა დამაზუსტებელი კითხვით, კერძოდ, როცა პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში, მაშინ მეორე სტანდარტი რა პრინციპით განისაზღვრა როგორც სრულ შესაბამისობაში ან თუ მეორე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია, მაშინ პირველი სტანდარტი როგორ არის მეტწილად შესაბამისობაში?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, პროგრამა თავისი მიზნებითა და შედეგებით საინტერესო და მნიშვნელოვანია. ერგება მოქმედ კანონმდებლობა, მაგრამ ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის თვალსაზრისით. გარკვეული საკითხები, რომლებიც დასაზუსტებელი იყო, მათ შორის ტექნიკური საკითხები, ექსპერტთა მიერ აღინიშნა პირველი სტანდარტის შეფასებაში. ძირითადად ეს ეხებოდა ცალკეულ სასწავლო კურსებს, ამიტომაც მეორე სტანდარტზე ეს არ

გავრცელდა, ასევე მეთოდოლოგიაც და სხვა საკითხებიც იყო შესაბამისობაში. საკითხები, რომლებზეც რეკომენდაცია გაიცა, ძირითადად, მიემართება ცალკეულ სასწავლო კურსებს, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების მიზანსა და სწავლების შედეგს და დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამის შესაბამისობას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებელი 2021 წელს შემუშავდა, შესაბამისად, უნივერსიტეტს ძალიან მცირე დრო ჰქონდა სრულად მორგებოდა მის მოთხოვნებს, თუმცა დიდ ყურადღებას აქცევენ აღნიშნულ საკითხს. ასევე, განმარტა, რომ ამ დარგობრივი მახასიათებლით ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები პირველად მუშავდება, რაც ყველასათვის დიდი გამოწვევაა. ამიტომაც ექსპერტებისთვის გასაგები იყო, როდესაც დაწესებულებამ დასვა დამაზუსტებელი კითხვები, მაგალითად სვანური ენის შემოღებასთან დაკავშირებით, რადგან ეს არ იყო ქართველური პროფილის სამაგისტრო პროგრამა და იყო ზოგადად ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ერთნაირად გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კომპეტენციებს და მოდულებად არ იყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პირველ სტანდარტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა განემარტა, რამ განაპირობა ქართული ეკლესიის ისტორიის სასწავლო კურსის ამოღებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემა?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი, საინტერესო და ღირებული საგანი არსებობს, რომელიც შეიძლება ისწავლებოდეს საუნივერსიტეტო გარემოში აკადემიურ სივრცეში. თუმცა იმის გათვალისწინებით, როცა პროგრამაში იმდენ მნიშვნელოვანი დარგობრივი საგანი შესატანია, მაგ. ლექსიკოლოგია, სვანური ან მეგრული ენა და ა.შ. და პროგრამა შესავსებია მომიჯნავე სპეციალობების საგნების არჩევითი კრედიტების სახით კურიკულუმში წარმოდგენა საჭირო არ არის. ექსპერტთა ხედვით არჩევითი საგნები უნდა ემსახურებოდეს სავალდებულო საგნების გაღრმავებას. უნივერსიტეტსაც ასე ესმოდა, რომ ქართული ლიტერატურის გარკვეული კომპონენტების გასაღრმავებლად იქნებოდა საინტერესო ეს კურსი. მაგრამ თუ ეს კურსი იკითხება სხვა მომიჯნავე პროგრამაზე სტუდენტს შეუძლია, რა თქმა უნდა, დაინტერესდეს და აიღოს. კურიკულუმში კი მეტად დარგობრივ მახასიათებელზე მორგებული სასწავლო კურსები უნდა იყოს შეტანილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის წინაპირობების დაკონკრეტებას ფილოლოგიის დარგის შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ტექნიკურ უზუსტობას, კერძოდ, ეწერა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ნაცვლად „ინფორმაციისა“, ანუ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასე უნდა ყოფილიყო ფორმულირებული: „ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ, სოციალურ, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის მეცნიერებებში. ამჯერად გასწორებულია ეს ხარვეზი და გამოიყურება შემდეგნაირად ‘’ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ, სოციალურ, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის მეცნიერებებში’’. შესწორებული ვერსია უკვე გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე.

როგორც მან აღნიშნა, რამდენიმე დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან იყო რჩევები და შენიშვნები. მაგალითად დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის კუთხით ექსპერტებმა აღნიშნეს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოლოგრაფიის კურსები. მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ რჩევას დაწესებულება ითვალისწინებს, რათა უკეთესად გამოიყურებოდეს პროგრამა, ამ ეტაპისთვის მუშაობა დაწყებულია. ახალ პროგრამაში უკვე გაიწერა, როგორც სავალდებულო საგანი, მიმდინარეობს სილაბუსებზე მუშაობა. მეორე სემესტრისთვის სილაბუსი მზად იქნება. რაც შეეხება ექსპერტთა რეკომენდაციას ქართული ეკლესიის ისტორიის ამოღებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ მათი ხედვით „ქართული ეკლესიის ისტორია“ ინტერდისციპლინარულ მხარეს

შეუწყობს ხელს, ასევე საგანი არჩევითია და, შესაბამისად, ის გადამწყვეტ გავლენას ვერ მოახდენს კურსდამთავრებულის კომპეტენციების ფორმირებაზე, როგორც განმარტეს სავალდებულო საგნების ნუსხაში აქვთ კურსი „ქართული ლიტერატურის განვითარების ტენდენციები“, რომლის მოსმენის პარალელურად თუკი სტუდენტი არჩევითი საგნებიდან უპირატესობას მიანიჭებს „ქართული ეკლესიის ისტორიას“, შესაძლებლობა ექნება შესაბამისი პერიოდის ქართული ლიტერატურა ერთიან კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში გაიაზროს. დაწესებულების წარმომადგენელმა, დააფიქსირა მოსაზრება მეგრულის, მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საფუძვლებთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციაზე. ექსპერტთა მოსაზრება იყო, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ კურსთან ერთად შეთავაზებული ყოფილიყო მეგრული ენისა და სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფს მხედველობაში აქვს ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლების ცოდნა და გაცნობიერება. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული პროგრამის მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე ფლობს შემდეგ კომპეტენციებს: ცოდნას და გაცნობიერებას, რაც მოიცავს ქართულის ან მასთან ერთად მეგრულის, სვანურის და ლაზურის, სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხს. ეს რეკომენდაცია მაშინ იქნებოდა რელევანტური, როცა განსახილველი პროგრამა იმგვარივე პროფილის იქნებოდა, როგორიც არის ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამები. მაგალითად როგორიც არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან აწყობილი მოდულების სახით როგორც აქვს სოხუმის უნივერსიტეტს. მაგრამ მათი პროგრამა განსხვავებულია და მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური მაგისტრანტის მომზადებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ქალბატონი ნანას აზრით, მათ პროგრამაში მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლები არჩევით ფორმატში იყო შეთავაზებული და, სამწუხაროდ, დღემდე პროგრამის არცერთ სტუდენტს არ აურჩევია. ამიტომაც მიმდინარე სემესტრის დასაწყისში, პროგრამის განვითარების საბჭოზე განიხილეს ეს საკითხი და გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ სტუდენტებთან კვლევა, თუ ახლანდელი პირველ კურსელებიც არ დაინტერესდებოდნენ ამ საგნით , მაშინ მოხდებოდა აღნიშნული კურსის პროგრამიდან ამოღება. სტუდენტებთან აღნიშნული კვლევა მიმდინარე წლის 5 დეკემბერს ჩატარდა. სურვილი არცერთ სტუდენტს არ გამოუთქვამს. შესაბამისად, 12 დეკემბერს პროგრამის საბჭოს განვითარების სხდომაზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სასწავლო კურსის ამოღება არჩევითი საგნების სიიდან .

შემდეგი საკითხი ეხებოდა ქართველურ მითოლოგიას და საისტორიო ზეპირსიტყვიერებას, კერძოდ, მათი სათაურების დაზუსტებას. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ექსპერტებმა შესთავაზეს ხსენებული კურსები ყოფილიყო შემდეგი დასახელებით - ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება და მითოსი. ეს რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა, რაც ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციითაც დასტურდება. ჯამში ყველა ტექნიკური შენიშვნა, რაც ექსპერტების მხრიდან იყო გაცემული დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულია. აქვე დაამატა, ექსპერტებს ჰქონდათ მოსაზრება პირად საქმეებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთ-ერთი მათი ლექტორი ფაქტობრივად მოაზრებული ჰყავდათ ახლა კი აღარ მუშაობს მათთან, მაგრამ შეგნებულად არ ამოიღეს მოწოდებული სიიდან, რადგან შესაძლებელი იყო კიდევ ვინმეს აერჩია მეგრულ-ჭანური გრამატიკის სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები. პირველი კითხვა ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების კვლევას, კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასება უნდა დაემყაროს რელევანტურ კვლევებს, კონკრეტულად რა მოიაზრა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულში? ასევე, ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა განემარტათ ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

მონაწილეობისა და ჩართულობის საკითხი, რადგანაც ბევრი რეკომენდაცია გაცემულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლთან და საქმიანობასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვების პასუხად ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კვლევასთან დაკავშირებით იყო ტექნიკური და სხვა სახის შენიშვნები. რეკომენდაციები ემყარებოდა იმას, რომ დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალის ნაწილი არ იყო რელევანტური. პასუხშიც ჩანდა, რომ უნივერსიტეტი ხელახალი აკრედიტაციისთვის არ ემზადებოდა , რადგან მათ არ უწევდათ და ამიტომაც წარმოადგინეს ადრე ჩატარებული კვლევების შედეგს, რაც არ იყო რელევანტური. რაც შეეხება ხარისხის განვითარების სამსახურის მიმართ გაცემულ რეკომენდაციების სიუხვეს, განმარტა, რომ მათ დეტალურად შეისწავლეს დოკუმენტაცია და სწორედ ამას ემყარებოდა ეს რეკომენდაციები. როგორც დაწესებულებამ თავის არგუმენტირებულ პასუხშიც განმარტა, კვლევების ერთი ნაწილი ჩატარდა 2019 წელს და იყო ძველი. სწორედ ამ გარემოებების ერთობლიობამ გამოიწვია რეკომენდაციების სიჭარბე.
საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, რომ კვლევა ვალიდურია 5-დან 3 წლამდე.
რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ განსახილველ შემთხვევაში კვლევები რელევანტური აღარ იქნებოდა, რადგან ისეთი პერსონალების ჩართულობით იყო გაკეთებული, რომლებიც ამ ეტაპზე აკადემიურ პოზიციებს არ იკავებენ, რამდენიმე ცოცხალიც კი აღარ არის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კვლევა ახალი იყო, უბრალოდ, სია, რომელიც მას ახლდა იყო ძველი. რაც ტექნიკური პრობლემა იყო. ეს ყველაფერი ამ დროისთვის უკვე განახლებულია და საიტზეც წარმოდგენილია განახლებული სახით.
ექსპერტმა დაამატა, ასევე, ერთ ტექნიკურ უზუსტობაზე, კერძოდ, ერთ-ერთი საგნის ხელმძღვანელს, რომელსაც ისინი ხვდებოდნენ არ ჰქონდა ინფორმაცია საგნის შესახებ, არც ვებგვერდზე იძებნებოდა და სწორედ ამიტომა გაიცა ეს რეკომენდაციებიც .
საბჭოს წევრი, ქალბატონი გურანდა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, როდესაც ეცნობოდა წარდგენილ დოკუმენტაციას ერთ-ერთი ფაილი იყო პროგრამის გარე შეფასებაზე, როდესაც დაინტერესდა ამ საკითხით აღმოჩნდა, რომ გარე შეფასების ნაცვლად იყო ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასაქმების ბაზრის კვლევის ანალიზი. მიმართა დაწესებულებას, რომ დაეზუსტებინათ ვინ გააკეთა პროგრამის გარე შეფასება, როდის გაკეთდა და ზოგადად როგორია გარე შეფასების შინაარსი. მეორე კითხვა ეხებოდა დაწესებულების მიერ წარდგენილ დოკუმენტს, სადაც მოცემულია დაცული ნაშრომების ნუსხა. ორი ნაშრომია მითითებული, ორივე 2020 წლით თარიღდება. შემდეგ არის კვლევის ანგარიში სხვა უმაღლეს სასწავლებელში მსგავსი პროგრამების არსებობის შესახებ ეს ანგარიში დათარიღებულია 2022 წლით. ანგარიშში კი წერია “ვინაიდან ჯერ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული". საბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება თუ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავთ და თუ ტექნიკური ხარვეზია ესეც, რომ დააზუსტონ. ასევე ყურადღება გაამახვილა რაოდენობრივი მახასიათებლების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე, სადაც მაჩვენებელი სტუდენტთა სამეცნიერო თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის თვალსაზრისით არის ნული, თუმცა თვითშეფასებაში და ექსპერტების დასკვნაში იკითხება, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაში. საბჭოს წევრმა ითხოვა ამ ნაწილის დაზუსტებაც.
აქვე საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ, ექსპერტებს მიმართა შეკითხვით, კერძოდ ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო რომ სავალდებულო ლიტერატურაში უნდა აისახოს დარგის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, ასევე არის რეკომენდაცია, რომ ქართული ფილოლოგიის განათლების მახასიათებელს თვითონ პროგრამა არ შეესაბამება, აქედან გამომდინარე რამდენად აღწევს ამ სახით არსებული პროგრამა დასახულ მიზნებსა და შედეგებს?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაციები მართლაც ბევრი იყო, მაგრამ პროგრამა ნამდვილად შეესაბამება დასახულ მიზანს. საქმე ისაა, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მათ თვითონ ჰქონდათ სურვილი გადაემუშავებინათ სილაბუსები, ასევე ახლად გამოცემული წიგნები და კვლევები შეეტანათ სილაბუსებით გათვალისწინებულ სასწავლო მასალაში. დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ პროგრამას ხელახალი აკრედიტაცია არ უწევდა და ეს იყო დამატებითი სამუშაო, რომელიც გასწია უნივერსიტეტმა. ვიზიტის დროს გამოვლენილმა ზოგიერთმა უზუსტობამ და ხარვეზმა დოკუმენტაციაში, გამოიწვია რეკომენდაციები და რჩევები. სხვა მხრივ პროგრამა მუშაობს და აქვს ძალიან კარგი ბაზა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულია ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის კომპონენტები არა ერთი რომელიმეს ხარჯზე, არამედ ორივესი თანაბრად. რაზეც ექსპერტი ფიქრობს, რომ დარგისთვის ეს საინტერესო უნდა იყოს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამაგისტრო დონეზე, ძირითადად, გავრცელებულია მოდულარული სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ვიზიტის დროს თუ დაისვა შეკითხვა სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით, ასევე სტუდენტების მოზიდვის თვალსაზრისით რამდენად მუშაობს უნივერსიტეტი და ამ მიმართულებით რა სტრატეგიული გეგმები აქვთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰყავთ ორი კურსდამთავრებული ამას გარდა ჰყავთ 6 სტუდენტი. ამ მომენტისთვის კი 2-ს აკადემიური აქვს აღებული. ეს სტუდენტები არიან როგორც პირველ, ასევე მეორე კურსზე. ორი კურსდამთავრებული კი უკვე დასაქმებულია სკოლაში. აქვე დაამატა, რომ ისინი მოსულები იყვნენ გასაუბრებაზე ექსპერტთა ვიზიტის დროს და წარმოადგინეს საკუთარი თავი. გარე შეფასებასთან დაკავშირებული კითხვის პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარე შეფასებაში ისინი მოიაზრებენ პოტენციური დამსაქმებლების და რეალური დამსაქმებლების დამოკიდებულების კვლევას, რომლებთანაც შესაძლებელია მათმა კურსდამთავრებულებმა ითანამშრომლონ. ესენი არიან ენათმეცნიერების ინსტიტუტის წარმომადგნელები, შოთა რუსთველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის წარმომადგენლები, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქტორები და წარმომადგენლები ანუ ის ადამიანები, რომლებსაც რეალურად შეიძლება დასჭირდეთ ფილოლოგიის მაგისტრის ცოდნის, კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ადამიანები, რომლებსაც დაასაქმებენ. რაც შეეხება ინგლისური ფილოლოგიის საკითხს აქ მცირედ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, როცა ისინი გადიოდნენ აკრედიტაციას განსახილველ პროგრამაზე, პარალელურ რეჟიმში ასევე ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა. საბუთების გადაგზავნის დროს კი შესაძლებელია აირია, რაც ახლა უკვე გასწორებულია. რაც შეეხება სტუდენტურ კონფერენციებს თქვა, რომ ამაზე ინფორმაცია არ გაუგზავნიათ, მაგრამ მათ აქვთ თავიანთი სტუდენტების, მაგალითად გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში და სხვადასხვა უნივერსიტეტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები. აქვე დაამატა, რომ მათ სტუდენტს ამჟამად გამომცემლობაში აქვს წიგნი შეტანილი, რომელიც წლის ბოლომდე დაიბეჭდება.

ქალბატონმა ირინა ლობჟანიძემ დასვა კითხვა, კერძოდ, პროგრამა იმ სახით, რომლითაც ახლა არის წარმოდგენილი უზრუნველყოფს თუ არა კონკრეტული საგნების სიღრმისეულ შესწავლას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ, მისი აზრით, პროგრამა აღწევს დასახულ მიზანს და შედეგებს დარგობრივი მახასიათებლის მიხედვითაც, რადგან იქ არის სიღრმისეული საგნები ორივე მიმართულებით. პრაქტიკულად ეს არის სამაგისტრო პროგრამა, რომლსაც აქვს იმის საშუალება, რომ არჩევითების გარეშე შესძინოს სტუდენტს სიღრმისეული ცოდნა ქართული ფილოლოგიის ორივე (ენისა და ლიტერატურის) მიმართულებით. ამ ნიადაგზე კი

სავსებით შესაძლებელია შედეგები და მიზნები იყოს მიღწეული. აქვე დაამატა, რომ სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ირჩევენ ან ენის მიმართულებას ან ლიტერატურის მიმართულებას.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. ასევე დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით ქალბატონი ირინას კითხვაზე განმარტა, რომ დარგობრივი მახასიათებელი სტრუქტურის ფაქტორიდან გამომდინარე არ განსაზღვრავს შესაბამისი საფეხურის დონეს, არამედ განსაზღვრავს კომპეტენციების დონეს. სტრუქტურა არის უმაღლესი დაწესებულების ერთგვარი დისკრეცია, რაშიც იგულისხმება, რომ დაწესებულებას აქვს უფლება თვითონ განსაზღვროს როგორი სტრუქტურით შეიძლება იყოს შემოთავაზებული პროგრამა.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ განმარტა, რომ მისი კითხვა არ მიემართებოდა პროგრამის სტრუქტურას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი პროგრამის მიზანში ცალსახად არის გაწერილი, ქართული ენა და ლიტერატურა, რომლის მიზანიც შედეგთან თავსებადია.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:48 სთ
დასრულების დრო: 15:36 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტეცაია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია, განახლდეს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ, კვლევის ანგარიში ახალი მონაცემებით.
1.5 სავალდებულო ლიტერატურაში აისახოს დარგის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები.
1.5 სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და სრული სახით მიეთითოს წიგნის, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სტატიის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი, ავტორი
1.5 სასწავლო კურსებში დაზუსტდეს რიდერების მითითების საკითხი

1.5 მოხდეს პროგრამაში ცალკეული საგნების სილაბუსებში შინაარსობრივი ხარვეზების შესწორება
4.5 რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალი განვითარების ღონისძიებების, მატერიალურტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.
5.1 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერება და მისი მეტი ჩართულობა პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
5.1 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად გაზომოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და შეაფასოს ისინი, რათა განხორციელდეს ანალიზის შემდგომის შედეგების გამოყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.
5.1 გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის კომუნიკაცია პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით
5.2 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საჭიროებისამებრ და პერიოდულად გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმები.
5.3 რეკომენდებულია, სისტემატურად განხორციელდეს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მათი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
5.3 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზოს ანალოგი პროგრამების შედარების შედეგები და აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენოს პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

რჩევები:

1. სასურველია, სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებული იქნეს „ქართული ეკლესიის ისტორიის“ სასწავლო კურსი, რადგან იგი არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლების საფეხურს;
2. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის „მეგრულ-ლაზური გრამატიკის საფუძვლების“ კურსთან ერთად შეთავაზებული უნდა იყოს ქართული ენისა და სვანურის სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხები, როგორც ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, სამაგისტრო საფეხურისთვის არის განსაზღვრული;
3. სასურველია, ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად მოხდეს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების ასახვა სავალდებულო სასწავლო კურსებში;
4. სასურველია, გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის დონე პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული წვლილი პროგრამების შედეგების კვლევასა და ანალიზში შემდგომი გაუმჯობესებისთვის;
6. საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების სახელწოდებების დამთხვევათა და შესაბამისად თემატიკის გადაფარვის თავიდან ასაცილებლად სამაგისტრო კურსს ეწოდოს „ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერება და მითოსი“ ნაცვლად „ქართული მითოლოგია და საისტორიო ზეპირსიტყვიერებისა“;
7. სილაბუსებში წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებს მიეთითოს ელექტრონული ბმულების მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს პროგრამის წინაპირობები ქართული ფილოლოგიის დარგის შესაბამისად.
9. განახლდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;

10. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება, რათა პერსონალი საქმის კურსში იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შესახებ. ასევე, უფრო მეტად აცნობიერებდეს თანამშრომლობის შედეგების გავლენას პროგრამების განვითარების ნაწილში;
11. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად მოამზადოს ერთიანი ანგარიში პროგრამის შეფასების შედეგების შესახებ, რომელიც ასახავს როგორც შეფასებების შეჯამებას, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

2. მეორე საკითხი. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაEducation Program ofGeorgian Language Preparation
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	03.07.2017-ის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N34
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-4
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ცხინვალის გზატკეცილი მესამე კილომეტრი, გორი, 1400, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში მუშაობს 2012 წლიდან, პროგრამას, გარდა იმ წინაპირობებისა, რომლითაც ჩვეულებრივ იღებენ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები აბიტურიენტებს, აქვს დამატებითი წინაპირობა, კერძოდ, ფიზიკური მომზადება, ექიმის რეკომენდაცია, ფსიქოლოგის რეკომენდაცია და სამედიცინო შემოწმება. ამიტომაც ექსპერტები ხედავენ დინამიკაში, რომ მსურველი ბევრია თუმცა სტუდენტი ნაკლები, რადგან ბევრს არ ძალუძს ამ წინაპირობების დაკმაყოფილება. პროგრამაში სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იყო განსაზღვრული განსაკუთრებული წინაპირობა. პირველ ჯერზე უნდა ჩაებარებინათ ერთიანი ეროვნული გამოცდები ამ მიმართულებით, როგორც არის დაწესებული და შემდგომ დაწესებულების წინაპირობები დაეკმაყოფილებინათ, ახლა კი არის პირიქით. ექსპერტების ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარე, რომელზეც გაიცა 4 რეკომენდაცია და 2 რჩევა. ექსპერტებმა განიხილეს პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის საკითხიც. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ: რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მოხდეს სტუდენტების გადანაწილება მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით; რეკომენდებულია, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს დარგობრივი კურსები, რომელიც შეესაბამება აკადემიის საბაკალავრო პროგრამას; რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა დაემყაროს პროგრამის საჭიროებებს და მოხდეს სხვა საფეხურისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის ამოღება სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვალიდან, ეს რეკომენდაცია განპირობებული იყო იმით, რომ ზოგიერთ საგანში მითითებული იყო არა ამ პროგრამისათვის განკუთვნილი ლიტერატურა, რომელიც რთული იყო დასასწავლად. მით უფრო, თუ სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტაბილურად გაიზრდება იუნკერთა რაოდენობა, მოხდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს.

გაცემული რეკომენდაციების და რჩევების შემდეგ დაწესებულებას არ გამოუთქვამს არგუმენტირებული პოზიცია, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ მათთვის ყველაფერი მისაღები და გასაგები იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს კოლეგიალური შეფასებისთვის და ექსპერტთა მიერ გაცემულ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუ ექსპერტები გულისხმობენ აკადემიური წერის სახელმძღვანელოს, ეს სახელმძღვანელო საბაკალავრო საფეხურზეც აქვთ ოღონდ სხვა ავტორების მიერ არის გამოცემული. დაწესებულება იყენებს აკადემიური სტილის სახელმძღვანელოს, აქ ხაზგასმულია მხოლოდ ესეს წერის საწყისი ელემენტები. ასევე, იმ სახელმძღვანელოს, რომელსაც საბაკალავრო საფეხურზე იყენებენ სიღრმისეულად არის განხილული რიგი საკითხებისა. სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სახელმძღვანელოს აღწერაშიც წერია, რომ ეს გათვლილი არის იმ პირებისთვის, რომლებიც მეორე ენად ქართულს ირჩევენ ან აბიტურიენტებისთვის/სტუდენტებისთვის. ამიტომაც დაწესებულებამ საჭიროდ ჩათვალა, რომ აღნიშნული მიეთითებინათ ორ სილაბუსში, კერძოდ, აკადემიური წერა - ქ. გოჩიტაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. შაბაშვილის ავტორობით, ხოლო ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის სილაბუსში ქართული გრამატიკა და აკადემიური წერის სახელმძღვანელო - ი. ვაშაკიძის ავტორობითაა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სწორედ ამ ორ სახელმძღვანელოს ეხება მათი რეკომენდაცია. ექსპერტის აზრით, აკადემიური წერა აბიტურიენტებისთვის ნაკლებად არის განსაზღვრული .

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა , რომ ისინი მთლიანად სილაბუსს ყველა სასწავლო კვირის მსვლელობისას არ იყენებენ. ერთი სილაბუსის ფარგლებში, მხოლოდ სამ შეხვედრაზე იყენებენ ამ ლიტერატურას და მეორე შემთხვევაში ბ ბლოკში, სადაც უფრო ძლიერი ნაკადია რვა შეხვედრის დროს იყენებენ. ასევე, ძირითად ლიტერატურად სხვა ლიტერატურასაც იყენებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნიათ დაწესებულების წარმომადგენელებს პროგრამის მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით ბაკალავრიატის საფეხურზე ისეთი არჩევითი კურსების შემოღება, როგორიც არის ქართული ენა 1 და ქართული ენა 2 .

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ რჩევების ნაწილში უწერიათ ქართული ენა 1 და ქართული ენა 2 იქნეს დამატებული საბაკალავრო საფეხურზე. როგორც აქვთ ინფორმაცია კანონში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც დაწესებულებებს ექნებათ ვალდებულება ასწავლონ ქართული ენა. შესაბამისად, თუ ეს დარეგულირდება სახელმწიფო დონეზე, დაწესებულებას სხვა გზა არ ექნება. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია ამ საგნების კურიკულუმში დამატება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ იმსჯელეს ამ საკითხზე, თუმცა კურიკულუმში ძალიან ბევრი კრედიტია და ახალი სასწავლო კურსის დამატება უჭირთ. სამხედრო კომპონენტს ასწავლიან 75 კრედიტის ოდენობით; პირველი სამი წელი ეთმობა უშუალოდ სფეროს შესწავლას, ხოლო ამ ორი კურსის ინტეგრირება დიდ გამოწვევას წარმოადგენს აკადემიისთვის, და ამიტომაც აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას განაგრძობენ.

ქალბატონი ირინა ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დარგობრივი კურსების დამატებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, კონკრეტულად რომელ კურსებს გულისხმობდნენ ექსპერტები? რადგან უკვე არის საგანი ქართული ენის ლექსიკა და სამხედრო ტერმინოლოგია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ისინი გულისხმობენ სხვა რამეს. კერძოდ, ასეთი ტერმინოლოგიური კურსი არის, თუმცა კურსდამთავრებულებს უწევთ სწავლის გაგრძელება სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა ფაკულტეტზე, მნიშვნელოვანია რომ, როგორც მათი დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებს, სტუდენტებს ჰქონდეთ დარგობრივი ლექსიკის ათვისების საშუალება უკვე ფაკულტეტების მიხედვით. სწორედ ეს იყო რეკომენდაციის განმაპირობებელი. ეს კურსიც ძალიან საჭიროა, რადგანაც ისწავლება ბევრი ლექსიკური ერთეული, რომელიც პროგრამის სტუდენტისათვის ახალია, თუმცა მეორე სემესტრიდან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სტუდენტების დარგობრივი მიმართულებით გადანაწილება და შესაბამისი დარგობრივი კურსების შემოღება. ეს ორი რეკომენდაცია ერთმანეთისაგან გამომდინარეობს .
საბჭოს წევრი, ეკა შაკიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი კითხვა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით. კერძოდ, განმახორციელებლებში მითითებულია მხოლოდ ორი მოწვეული პირი, მხოლოდ ეს ორი პირი ახორციელებს პროგრამას?
რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხოლოდ ეს ორი პირი ახორციელებს. მათთან ჩაბარების სურვილი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი აპლიკანტების მხრიდან საკმაოდ დიდია, მაგრამ შიდა გამოცდებს ბევრი ვერ აბარებს. დაწესებულებას გასული სამი წლის განმავლობაში ჰქონდა შემთხვევები, როდესაც ვერ ჩარიცხეს ვერავინ. რადგან ფიზიკურად ვერავინ ვერ ჩააბარა შიდა გამოცდა. თუ ასე გაგრძელდება დაწესებულებას ბიუჯეტის თვალსაზრისით ძვირი დაუჯდება პერსონალის შენახვა, თუმცა პროგრამის მდგრადობას ის აძლიერებს, რომ პერსონალის თვალსაზრისით ეს ორი პირი პროგრამის შემუშავების დღიდან დასაქმებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.. აქვე დაამატა , რომ, ამჟამად, პროგრამაზე ერთი სტუდენტი ჰყავთ .
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ პროგრამის მდგრადობისთვის მიუხედავად იმისა , რომ ერთი სტუდენტია აკადემიაში , დაწესებულებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს აკადემიური პერსონალის მოზიდვაზე. ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა განემარტა პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით მათი პოზიცია. იმიტომ რომ ეს პირდაპირ უკავშირდება ორ მოწვეულ პირს. დაწესებულებას რა საკვალიფიკაციო მოთხოვნები აქვს ზოგადად ამ პროგრამების მიმართ? და ბოლო შეკითხვა ზეპირი მოსმენიდან გამოიკვეთა, რომ მხოლოდ სამხედრო მიმართულების პროგრამები არაა აკადემიაში, არის ასევე საბაკალავრო პროგრამები და სრულიად მართებულად მიაჩნია რეკომენდაცია, სადაც დარგობრივი კურსები მეორე სემესტრში უნდა იყოს სხვადასხვა მიმართულებით, იმიტომ, რომ ამ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის დაწესებულებაშივე გაგრძელდეს სწავლა საბაკალავრო პროგრამების მიმართულებით. შესაბამისად, ითხოვა დაზუსტება კონკრეტულად რა პროგრამები აქვთ გარდა სამხედრო მიმართულებისა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, განსაზღვრულია ამ პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელი არ არის პროგრამის განმახორციელებელი, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს აკადემიური ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში და დარგობრივი შრომები, იგი არის ამ და სხვა მომიჯნავე პროგრამის ხელმძღვანელი. ამან კი იყო მეოთხე რეკომენდაცია განპირობებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მათ გასაუბრების დროს ჰქონდათ თავიანთი ახსნა თუ რატომ ჰყავთ მოწვეული პერსონალი. თუ გაითვალისწინებენ მათი ტიპის დაწესებულებას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულია და თავდაცვის

სამინისტროდან იღებენ დაფინანსებას, ჩათვალეს, რომ თუ აკადემიურ პერსონალად აიყვანენ ორ პირს, შესაძლოა ძალიან გაიზარდოს ხარჯები. ერთი პირის წლიური ანაზღაურებ 24 000 ლარს შეადგენს, შესაბამისად 48 000 ათასი ლარი დაუჯდებათ ერთი წლის განმავლობაში ორი პერსონალის ანაზღაურება. სოციალური პაკეტის გათვალისწინებით ეს თანხა გაიზრდება 50 000 ლარამდე. დაწესებულება, ძალიან უფრთხილდება თითოეულ თეთრს, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ოპერირებენ. სწორედ ამიტომაც მიიჩნიეს მდგრად პერსონად ის ორი ადამიანი.

ბატონი დავით ჩოჩიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა კითხვა დარგობრივ ლექსიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, ინსტიტუცია ახორციელებს ოთხ საბაკალავრო პროგრამას ეს არის მენეჯმენტი, ინფორმატიკა, თავდაცვა / უსაფრთხოება და მექანიკის ინჟინერია, რამდენად რელევანტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმა ეს, რადგან თითქმის ერთი მიმართულების პროგრამებია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის განსაზღვრაც დაწესებულებისთვის და პროგრამის წარმომადგნელებისთვისაც მნიშვნელოვანია. დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს, რომ შესაძლებელია ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების პირობებში ენების, დარგობრივი მიმართულებებისა და სასწავლო კურსების სწავლების დროს სწავლებაში ჩაერთონ როგორც ფილოლოგები, ასევე დარგის წარმომადგნელები. რაც შეეხება იმას, რომ ოთხი სხვადასხვა ფაკულტეტია, ოთხ სხვადასხვა კვალიფიკაციაზეა საუბარი. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეს იყოს გარკვეულწილად მომიჯნავე საკითხები. შეიძლება იყოს ცალკე დარგობრივი ლექსიკისათვის, მაგრამ ყველა შემთხვევაში რადგან დარგობრივი ავალდებულებს უნდა მოხდეს სტუდენტების დიფერენციაცია ცალკეული დარგობრივი მიმართულებების მიხედვით. შესაბამისად, კურიკულუმში უნდა შევიდეს ცვლილება სავალდებულო არჩევითი საგნების სტატუსით და ამიტომაც ეს საკითხი წარმოჩინდა რეკომენდაციების სახით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16 :00 სთ

დასრულების დრო: 16:12 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე : 15

წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება : უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისადსსიპ -დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.4 რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლის მიხედვით მოხდეს სტუდენტების გადანაწილება მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით;
1.4 რეკომენდებულია, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს დარგობრივი კურსები, რომელიც შეესაბამება აკადემიის საბაკალავრო პროგრამას;
1.5 რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა დაემყაროს პროგრამის საჭიროებებს და მოხდეს სხვა საფეხურისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის ამოღება სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვლიდან;
4.1 სამომავლოდ, მით უფრო, თუ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტაბილურად გაიზრდება იუნკერთა რაოდენობა, მოხდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის დროს.

რჩევები:

1. სასურველია, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიამ განახორციელოს პროგრამის პოპულარიზაცია სამიზნე აუდიტორიაში;
2. პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2;
3. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში);
4. ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე;
5. ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევაზე დარგობრივი (ქართული ფილოლოგიის) მიმართულებით.

3. მესამე საკითხი. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა Georgian language preparation educational program
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2017 წ. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N3
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-4
9	კვალიფიკაციის დასახელება	
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N31, თბილისი, 0144, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ირინა გველესიანმა.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2017 წლიდან, თუმცა პროგრამას არ ჰყოლია ბენეფიციარი, რომელიც იმ წესის მიხედვით, უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნულ გამოცდები და დაადასტუროს აზერბაიჯანულენოვანი/სომხურენოვანი, ოსურენოვან ან აფხაზურენოვანის ენობრივი კომპეტენციები. ასეთი ტიპის სტუდენტი მათ არ ჰყოლიათ. ძირითადად ესენი არიან

განსაკუთრებული შემთხვევებით ჩარიცხული სტუდენტები, რომლებსაც სასკოლო განათლება მიღებული აქვთ უცხო ქვეყანაში და უცხო განათლების აღიარებით ხდება მათი ამ უნივერსიტეტში მიღება. ექსპერტების რეკომენდაცია იყო შემდეგი: რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში დეტალურად აისახოს ქართულ ენაში მომზადების საბაკალავრო პროგრამის კანონით განსაზღვრული მიზნები ვინაიდან მიზნები უფრო ფართოა, ვიდრე ეს დარგობრივით არის განსაზღვრული; რეკომენდებულია, შპს თბილისი ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადოს მიღება საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისი საგნების ჩაბარებით შეძლებენ სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე; რეკომენდებულია შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია და იმუშაოს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სკოლა დამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოსაზიდად; რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმს დაემატოს საგანი, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის განსაზღვრული ინტერკულტურული კომპონენტების სწავლებას. ზოგ შემთხვევაში ეს არის ტოლერანტობა და მრავალფეროვნება ამ მსგავსი საგანი, რომელიც კვლავ დარგობრივი მახასიათებლით არის სავალდებულო. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მათ შორის პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებების სისტემის შექმნა, რომელიც მოემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და არ იქნება დამოკიდებული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების პირდაპირ კომუნიკაციაზე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირებთან თუ სტუდენტებთან; რეკომენდირებულია, საგანს ქართული ენა მოსმენა და ლაპარაკი 2 , 10 კრედიტი დაემატოს წერისა და კითხვის სწავლების კომპონენტები. ასევე ორი რჩევა გამოითქვა, პროგრამის მდგრადობისათვის: სასურველია, გაძლიერდეს ქართული ენის სწავლება. ასევე ბიბლიოთეკაში იყოს ყველა წიგნი, მათ შორის, არჩევითი ლიტერატურიდანაც, რადგან რთული იქნება ამ სტუდენტებისათვის ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებში მოიძიონ სილაბუსით განსაზღვრული არჩევითი ლიტერატურიდან წიგნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. ასევე, აღნიშნა, რომ მათ გამოგზავნილი აქვთ საკუთარი პოზიცია ექსპერტთა რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით. უმეტესი მათგანი გაითვალისწინეს და უკვე ასახულია და რეალიზებულია, მაგალითად რეკომენდაცია ლიტერატურის შეძენასთან დაკავშირებით. საუბარია იმ ლიტერატურაზე, რომელიც დამატებით იყო მოცემული სილაბუსებში. ასევე, მიღება გამოცხადებულია ეროვნული გამოცდების ცენტრის ანკეტა-კითხვარში, მიწოდებულია შესაბამის კითხვარში და ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ეხებოდა სილაბუსს ესეც გაზიარებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით პირველ სემესტრში ნაკლები ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისათვის და მეტი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისათვის სასწავლო კურსები უნდა იყოს გაყოფილი ა და ბ ბლოკებად, ეს წარმოდგენილია პროგრამაში: ქართული ენა პრაქტიკული კურსი 1.1 და

პრაქტიკული კურსი 1.2 სადაც საკონტაქტო საათებიც და თემატიკაც ერთნაირია, მხოლოდ 1-ლი და მე-2 განსხვავდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენად აღწევს იმ მიზანს ერთნაირი სასწავლო კურსებით, სადაც საკონტაქტო საათებიც ერთნაირია, რომ მეორე სემესტრის დაწყებამდე უკვე გათანაბრდეს ამ სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია. გარდა ამისა, ქართული ენის პრაქტიკული კურსს, რომელიც მეორე სემესტრში ისწავლება მე-18 გვერდიდან ემბის იგივე თემატიკა, რაც პირველ სემესტრში ისწავლებოდა, აღნიშნულ საკითხზეც ითხოვა განმარტების გაკეთება. ბოლოს დარგობრივი მახასიათებელიც მოითხოვს, რომ მაგალითად მარტივი წინადადების კონსტრუქციების ცოდნა, რთული წინადადების აგების ძირითადი ასპექტების ცოდნა, მსაზღვრელ საზღვრულის ურთიერთობა, ქვემდებარისა და შემასმენლის პირსა და რიცხვში ურთიერთობა, რაც ვერ მოიძია სასწავლო კურსებში, შესაბამისად, ითხოვა განმარტების გაკეთება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტისას მათაც მიაქციეს ყურადღება და აღმოჩნდა, რომ იყო ხარვეზი. უნდა ყოფილიყო მეტი სხვაობა საკონტაქტო საათებში. როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, ეს განსხვავება არის, უბრალოდ ტექნიკური ხარვეზი. დაწესებულებას აქვს სპეციფიური გამოცდილება ამ პროგრამის განხორციელების, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა რამდენიმე წელია რაც ფუნქციონირებს, მათ არ ჰყოლიათ საქართველოში მცხოვრები სტუდენტები. შესაბამისად, არც გამოცდილება ჰქონიათ ეს დიფერენციაცია პრაქტიკულად ჰქონოდათ. თუმცა ეს ყველაფერი პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს, რადგან მათ აქამდე ჰყავდათ ა დონის სტუდენტები, ამიტომაც ეს პრაქტიკაში არ ასახულა. რაც შეეხება შემდეგ შეკითხვას, რომ თემები ერთმანეთს ფარავს, პროგრამის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ასევე არიან სახელმძღვანელოს ავტორებიც, განმარტეს რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან სწავლება პროგრამისთვის განსაზღვრული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რადგან წარმოდგენილი იყო დოკუმენტის, ძველო სამუშაო ვერსია. ასევე, აღნიშნეს, რომ როდესაც უკვე ვიზიტი ადგილზე განხორციელდა, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ სწორად იყო მონაცემები და სწორედ ამ გაგზავნილმა უზუსტობამ შექმნა ხარვეზი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა სინტაქსის საკითხებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ აქ არის ჭაბუკი ქირიას ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, რომელიც პრაქტიკული გრამატიკის კურსში მოიაზრება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ პრაქტიკული გრამატიკის კურსში აღნიშნული არ გვხვდება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, ჩანაწერი, რომ ეს დარგობრივ კურსებში კომპენსირდება სრულიად გაუმართლებელია. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ტოლერანტობის სასწავლო კურსი რომელიც არა მარტო დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული და სავალდებულო, არამედ თვითონ პროგრამის ბოლო მიზანში და პასუხისმგებლობა ავტონომიურობის ნაწილის მესამე შედეგშიც მოიაზრება, რამდენად რეალისტურია სწავლის შედეგის მიღწევადობა თუ ეს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი წერა-კითხვა და ტოლერანტობა არ ამ ეტაპზე პროგრამას არ გააჩნია?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ დეტალურად შეისწავლეს ეს პროგრამა. ქართული ენა მოსმენა ლაპარაკი 2-ში, როდესაც მხოლოდ მოსმენა ლაპარაკის კომპონენტია და წერა-კითხვა არ ახლავს, იგულისხმება, რომ ან ცალკე სასწავლო კურსი უნდა იყოს ქართული ენა წერა-კითხვა 2, ან 10-კრედიტიანი საგნის ფარგლებში გაერთიანდეს წერა-კითხვა, ლაპარაკი - ოთხივე კომპონენტი ერთად. სწორედ ამით იყო ეს რეკომენდაცია განპირობებული. მოულოდნელი იყო დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი ამ რეკომენდაციის თაობაზე. რადგან აქ ცალსახად გაწერილია, რომ ეს უნდა მოხდეს ოთხივე კომპონენტის მიხედვით. მთლიანობაში პროგრამისათვის მიღწევადი არის შედეგი. მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ ის ბოლომდე შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს და სხვა კანონქვემდებარე აქტებს. სინტაქსის საკითხები, უშუალოდ, არ არის, მაგრამ არის კურსები ქართული ენის გრამატიკა 1 და 2 და როგორც ჩანს ამით არის დაძლეული .

ეკა შაკიაშვილმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა დაეფიქსირებინა, მისი აზრით აღნიშნული საკმარისია თუ არა, რომ სტუდენტი B 2 დონეზე გავიდეს?
რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ნინო შარაშენიძის მიდაოს არის მთლიანად სინტაქსის პრაქტიკული საკომუნიკაციო ფორმები. შესაბამისად, ფიქრობს, რომ დაძლევადია, თუმცა, უფრო სიღრმისეულადაც შესაძლებელია ყურადღების გამახვილება.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, დაწესებულებას მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ ის ფაქტი, რომ მისაღები კონტინგენტი გათვლილია მხოლოდ უცხოელ სტუდენტებზე ბადებს კითხვას: რა პრობლემას ხედავს დაწესებულება საქათველოში მცხოვრებ არაქართულენოვან ანუ საქართველოს არაქართულ მოსახლეობასთან დაკავშირებით?
რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ამ საკითხზე რეკომენდაცია შემუშავდა, თუმცა კანონი აძლევს საშუალებას, რომ ასეთი ტიპის საქმიანობა განხორციელდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ ეს გაითვალისწინეს და ახლა უკვე გამოცხადებული აქვთ საქართველოს მოქალაქეებისთვისაც მიღება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:41 სთ
დასრულების დრო: 17:02 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საკითხი .

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 3^1 პუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით .

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1 რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში დეტალურად აისახოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კანონით განსაზღვრული მიზნები;
1.1 რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადოს მიღება საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისი საგნების ჩაბარებით შეძლებენ სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე;

1.1 რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია და იმუშაოს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სკოლადამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოსაზიდად;
1.4 რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის კურიკულუმს დაემატოს ტოლერანტობისა და მრავალფროვნების სასწავლო კურსი;
1.4 რეკომენდებულია, პროგრამაში მოხდეს შემდეგი საკითხების სწავლება: მარტივი წინადადების კონსტრუქციები, რთული წინადადების აგების ძირითადი ასპექტები, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა. ქვემდებარე -შემასმენლის ურთიერთობა პირსა და რიცხვში)
5.3 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შიდა ხარისხის მექანიზმების, მათ შორის, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც მოემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და არ იქნება დამოკიდებული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების პირდაპირ კომუნიკაციაზე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირებსა და სტუდენტებთან.

რჩევები:

1. პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2;
2. სასურველია, რომ უსდ-ის საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს სასწავლო კურსებში მითითებული დამხმარე ლიტერატურაც, რათა უსდ-ის სტუდენტებს, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობენ თბილისს, არ მოუხდეთ, საჭირო, დამატებითი ლიტერატურის მოძიება ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებში.

4. მეოთხე საკითხი. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზაVehicle Maintenance and Expertise
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება No1219694
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor inVehicle Enginerring
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაეროხომალდები 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ.No98, სასწავლო კორპუსები No7, 8, 9, 11 ქუთაისი, საფოსტოინდექსი4600, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ განსახილველ პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 27-28 ოქტომბერს. გაიცა 4 რეკომენდაცია, კერძოდ, პირველი რეკომენდაცია ფორმულირდა შემდეგნაირად: სტუდენტების რანჟირება მოხდეს უცხო ენის ცოდნის მიხედვით და შეთავაზებულ იქნეს შესაბამისი დონის სასწავლო კურსი. ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი უცხო ენასთან დაკავშირებით პრობლემის დანახვა გახდა. კერძოდ, კრედიტების რაოდენა უცხო ენაში არის 20, რაც საკმაოდ ბევრია. კვლევის საფუძველზე კი დადგინდა, რომ უცხო ენაში სტუდენტებს აქვთ არჩევანის საშუალება, მაგრამ ეს არჩევანი არის შეზღუდული, კერძოდ, დაწესებულება სთავაზობს იმ

უცხო ენას, რომელიც ეროვნული გამოცდებზეც აქვთ ჩაბარებული. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ფიზიკის კრედიტების რაოდენობას, ექსპერტების აზრით, კრედიტების რაოდენობა არის უფრო ცოტა, ვიდრე უნდა იყოს. ექსპერტების აზრით, ფიზიკის კურსი ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა გაცვლით პროგრამებს, ეს უცხო ენის ცოდნის დონეს უკავშირდება. მუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს სთავაზობენ გაცვლით პროგრამებს შედეგი მაინც არ დგება. ერთ-ერთი ბარიერი, რასაც სტუდენტები აღნიშნავენ ხოლმე არის უცხო ენა, რაც გარკვეულწილად კავშირშია პირველ რეკომენდაციასთან. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა დისტანციური სასწავლო მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებას, შესაბამისი მექანიზმის ადაპტირებასა და მათ დანერგვას. ეს პანდემიისდროინდელ გარემოებებს უკავშირდება, თუ რამდენად მზად იყო უნივერსიტეტი. სწორედ აქედან გამომდინარე, იყო ეს რეკომენდაცია გაცემული. ასევე, გაიცა 4 რჩევა. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა აკრედიტაციის მიზნით მეორედ არის წარმოდგენილი, რადგან პირველ ჯერზე ვერ მოიპოვა სრული აკრედიტაცია. რაც ემჩნეოდა პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფის ახლანდელ შემადგენლობაში შედიოდა წინა აკრედიტაციის პროცესის დროს შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომლის შეფასებითაც პროგრამა რადიკალურად შეიცვალა და გაუმჯობესდა. პროგრამას, ასევე, ემჩნევა ის, რომ ეს საკითხები და აღნიშნული პროგრამა არის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტისთვის ტრადიციული და ითვლის რამდენიმე ათეულ წელს, რაც გამოიხატება პედაგოგების მომზადების დონესა და ლაბორატორიული აღჭურვილობის მხრივ. დაწესებულებაში ინტენსიურად მიმდინარეობს ლაბორატორიების განახლების პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განსახილველ პროგრამაზე 2020 წელს გაიარეს პირველადი აკრედიტაცია და მიიღეს პირობითი აკრედიტაცია 2 წლით. ამიტომ ხელახლა გადაამუშავეს ეს პროგრამა და ძალიან ბევრი დადებითი ცვლილება შეიტანეს. მისი განმარტებით, ინგლისურთან და ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ იმსჯელა და არგუმენტირებული პოზიციაც წარმოადგინეს. 2019 წლამდე უნივერსიტეტში მაქსიმუმ 15 კრედიტი იყო საინჟინრო მიმართულებით უცხო ენაზე, ზოგიერთ პროგრამაში 10. ეს ყველაფერი დაწესებულებამ შეცვალა, ამ მომენტისთვის ყველა საინჟინრო მიმართულებაზე 20 კრედიტია გამოყოფილი უცხო ენების შესწავლისათვის, თუმცა ადრე 2019 წლის ჩათვლით, ახორციელებდა შემდეგ რანჟირებას, ღებულობდნენ აბიტურიენტებს და უცხო ენების ცენტრი უტარებდა თავიდან გამოცდას, ტესტების საფუძველზე კი ხდებოდა შესაბამისი დონეების დადგენა. შემდეგ კი ნაწილდებოდნენ ჯგუფებში. ეს ძალიან რთული პროცესი იყო. ვერ გადიოდნენ შესაბამის შედეგზე. უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რანჟირება გაეკეთებინა იმ საგნის უცხო ენის მიხედვით, რომელიც უკვე ჩაბარებული აქვს აბიტურიენტს ეროვნულ გამოცდებზე. ეს დონე სულ მცირე B1 მაინც არის, თუმცა ბოლო ვიზიტის დროს ერთ-ერთმა სტუდენტმა გამოთქვა სურვილი, რადგანაც მას ეროვნულ გამოცდებზე ჰქონდა რუსული ჩაბარებული და უნდოდა სწავლა გაეგრძელებინა უნივერსიტეტში ინგლისური ენის მიმართულებით. დაწესებულებამ ძალიან ბევრი იმსჯელა ამ საკითხზე, და პროგრამაში 20 კრედიტი ეძლევა სტუდენტს მისთვის სასურველი უცხო ენის შესარჩევად.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა რომელი დონიდან იწყებენ სწავლას პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები?
რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლას იწყებენ B1 დონიდან და იშვიათ შემთხვევებში A2.1 დონიდან. ასევე, განმარტა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ მე-4 რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ამჟამად, არ ახორციელებენ დისტანციურ სწავლებას, მაინც გადახედავენ არსებულ რეგულაციებს .

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ ფიზიკის კურსის მოცულობის გაზრდის შესახებ. მათი განმარტებით, ფიზიკის ერთი კურსი აქვთ 5 კრედიტიანი, რომელშიც მოცემულია ზოგადი თავები და კონცეფციები და აქედან ხდება ზოგადი ცოდნის მიღება, სიღრმისეული ცოდნის მიღება ხდება ზოგად ტექნიკურ კურსებში. ინჟინერ ტექნიკოსის მიმართულებით მიდის ეს კვალიფიკაცია, ამიტომ მექანიკური საგნები მრავლად არის პროგრამაში, მაგალითად როგორიცაა თეორიული მექანიკა, ჰიდრო და აერო მექანიკა, ცალკე კურსი, სადაც ხდება სითხეების და აირების შესწავლა, რაც, მისი აზრით, სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გავიდნენ სწავლის შედეგებზე. ასევე, შესაძლებელია ფიზიკა 2-ის დამატება, სადაც გარკვეული საწყისი საკითხები იქნება მექანიკის მიმართულებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელი, ფაკულტეტის დეკანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ინჟინერიაში ეს კურსი ისეთნაირადაა აწყობილი, რომ ერთმანეთს ავსებს. განახლებულია ლაბორატორიული ბაზები, რაც ხარისხობრივად შეცვლის სასწავლო პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა შეკითხვით, რა დონეზეა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი ან ვინ არის მონაწილე და რა დოზით?

ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილია დოკუმენტები საიდანაც დგინდება, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ დაწესებულებებთან, რეკომენდაცია გაიცა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, სესიაში მონაწილე სტუდენტებიდან არცერთი არ იყო საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამაზე ნამყოფი, შესაბამისად, ჩათვალეს , რომ ეს საკითხი გასაძლიერებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდათ სტატისტიკა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ პოლონელ კოლეგებთან. ასევე, ჩატარდა მე-5 საერთაშორისო კონფერენცია. ბაკალავრიატის სტუდენტები ამ კონფერენციაში არ იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მაგისტრანტები და დოქტორანტები აქტიურად მონაწილეობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ამ საკითხთან დაკავშრებით დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, დამატებით სხვა რა აქტივობები ჰქონდათ განსაზღვრული ამ თვალსაზრისით?

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მემორანდუმი აქვთ გაფორმებული სინეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, რომლითაც გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის გაცვლით პროექტში ჩართვა, ასევე სამეცნიერო კვლევებსა და პუბლიკაციებზე მუშაობა. რამდენიმე სტატია კი გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალში. აკადემიური პერსონალი აქტიურად ერთვება მსგავსი ტიპის პროექტებში. ასევე, აღნიშნა, რომ პოლონელები მზაობას გამოთქვამენ თვითონ დააფინანსონ სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლისშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, სტუდენტების ცოდნის ნაწილში არც რჩევაა გაცემული და არც რეკომენდაცია, თუ იყო გასაუბრებაზე ამაზე საუბარი, როგორ ხდება სტუდენტების შეფასება პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში? გარდა ამისა, შინაარსობრივად განსხვავებული საგნების სილაბუსებში ერთნაირადაა განსაზღვრული სტუდენტების ცოდნის შეფასების მექანიზმი, კონკრეტულად 22 ტესტური კითხვით, რა პრინციპით განისაზღვრა შეფასების ეს მექანიზმი?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საინჟინრო საგნებში პრაქტიკული უნარების შეფასება ხდება ტესტებით. იყო ტესტები, რომლებიც შეიცავდა პრაქტიკულ საკითხებს, მაგალითად, ჰიდრავლიკაში შეიძლება იყოს მოცემული ამოცანა და ნაჩვენები ამოხსნის მეთოდები, სტუდენტმა კი უნდა აჩვენოს, რომელია სწორი მეთოდი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ეს საგნები ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა, რაც შეეხება 22 შეკითხვიდან ტესტს, აქ იგულისხმება 22 საკითხიანი დავალება. სადაც არის როგორც დახურული, ასევე ღია კითხვები, პლუს ამოცანა. ყველა საგანი ავითარებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ცოდნას. პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება ხდება, ასევე, აქტივობების მეშვეობით, რაც მოიცავს დავალებებს და ტესტებს.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი სტუდენტი ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, აღნიშნულთან დაკავშირებით არც რჩევა და არც რეკომენდაცია არ გაიცა, რადგანაც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ თქვეს, რომ აქტიურად უტარდებოდათ პრაქტიკული სამუშაოებიც. დისტანციურად სწავლის დროს რიგრიგობით მოდიოდნენ უნივერსიტეტში და უტარდებოდათ პრაქტიკული სამუშაოები. ეს კითხვა კურსდამთავრებულებსაც დაესვა და მათაც დაადასტურეს აღნიშნული პრაქტიკის არსებობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:37 სთ
დასრულების დრო: 18:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისის და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგნეის ვალდებულებით .

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი **რეკომენდაციები:**

1.4 მოხდეს სტუდენტების რანჟირება მათთვის სასურველ უცხო ენაში ცოდნის დონის მიხედვით და შეთავაზებული იქნეს შესაბამისი დონის სასწავლო კურსი.
1.5 რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში, შეფასების კომპონენტი დაზუსტდეს, გადაიხედოს და კრიტერიუმები დაზუსტდეს მისაღწევი შედეგების შესაბამისად
5.1 ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი მექანიზმების ადაპტირება და მათ დანერგვას.

რჩევები:

1. სასურველია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „ფიზიკის“ კრედიტების მოცულობა და მასში ასახულ იქნეს ფიზიკის ყველა საკითხები, მათ შორის მექანიკის ფუნდამენტური პრინციპები;
2. გაცვლით პროგრამებში სტუდენტების აქტიურად მონაწილეობისათვის მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაცია;
3. სასწავლო კურსში „შესავალი სპეციალობაში“ მიზანშეწონილია დაემატოს ტრანსპორტის ისტორიის და განვითარების ტენდენციების საკითხები;
4. სასურველია პროგრამაში საკურსო პროექტის ან საბაკალავრო ნაშრომის სახით საინჟინრო უნარების შემაჯამებელი სასწავლო კურსის არსებობა;
5. მიზანშეწონილია გაიზარდოს „მანქანათა ნაწილების“ და „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ კრედიტების რაოდენობა;
6. პროგრამის პერიოდული შეფასების შემაჯამებელი შედეგები/გამოკითხვის ანალიზის (პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე) შედეგები მიეწოდოს არამხოლოდ პროგრამის ხელმძრვანელს, არამედ პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებსაც (პერსონალური ინფორმაციის გამჟრავნების გარეშე)-სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალს და დამსაქმებლებს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 18: 00 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით